საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №44/18

-- -- (-- -- დირექტორი) 2018 წლის 12 თებერვლის №44 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 21 ივლისის №44/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიკერძოებულობასა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უკანონობაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 6 მარტს -- -- დირექტორმა სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ, გაზის გატარებისა და მილსადენით სარგებლობის თმენისათვის 57 333,72 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; -- -- მოსარჩელე -- -- სასარგებლოდ გაზის

გატარებისა და მილსადენით სარგებლობის თმენის საკომპენსაციოდ დაეკისრა - 57 333.72 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება 2017 წლის 17 აგვისტოს, სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- წარმომადგენელმა.

საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --, რომელმაც სააპელაციო საჩივარი 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინებით მიიღო წარმოებაში და საქმის განხილვისათვის სხდომა დანიშნა 2017 წლის 16 ნოემბერს. 2017 წლის 26 სექტემბერს -- -- წარადგინა სააპელაციო შესაგებელი.

2017 წლის 16 ნოემბერს გაიმართა სასამართლოს მთავარი სხდომა, რომელიც გაგრძელდა 2018 წლის 11 იანვარს. -- -- სააპელაციო საჩივარზე სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2018 წლის 18 იანვარს.

2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით, -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- -- -- სასარგებლოდ დაეკისრა 2465.34 ლარის გადახდა.

-- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2018 წლის 28 თებერვალს საკასაციო წესით გასაჩივრდა -- -- მიერ.

-- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2018 წლის 1 მარტს საკასაციო წესით გასაჩივრდა -- -- მიერ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის 9 მარტის განჩინებით, -- -- და -- -- საკასაციო საჩივრები მიიღო წარმოებაში. საქმის განხილვა ამ ეტაპზე არ დასრულებულა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

3.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია.

მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[10] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის თანახმად, „სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება...“ ამავე კოდექსის 385-ე მუხლის თანახმად, „სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად..“ „სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი...“ მოსამართლე -- -- 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების საკითხის შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, ვინაიდან თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანია იგი დააკმაყოფილებს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პირიქით, უარს ეტყვის მხარეს მის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

3.2. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს მოსამართლის მიკერძოებულობაზე. მიკერძოებისა და წინასწარი უარყოფითი განწყობის შეგრძნება უკმაყოფილებისა და უსამართლობის განცდას იწვევს და სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობას არყევს.. იმის დადგენისას, თუ რამდენად მიუკერძოებლად გამოიყურება მოსამართლე საზოგადოების თვალში, კრიტერიუმად გამოიყენება საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი.. მოსამართლის მიუკერძოებლობა შეიძლება ეჭვქვეშ აღმოჩნდეს ზოგიერთი მიზეზის გამო,, მაგალითად:: ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო არსებობის, სასამართლო დარბაზში მოსამართლის ქცევის ან მისი საურთიერთობო წრის, ასევე სასამართლოს ფარგლებს გარეთ საქმიანობის გამო.. მოსამართლე უნდა მოერიდოს ნებისმიერ მოქმედებას, რომელმაც საზოგადოებას შეიძლება აფიქრებინოს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ისეთი გარეშე ფაქტორები ახდენენ გავლენას, როგორებიცაა: პირადი დამოკიდებულება ერთ-ერთი მხარისადმი. სწორედ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებების გამოკვლევის და მოსამართლის ქმედების დეტალურად შესწავლის მიზნით, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა სხდომის ვიდეო ჩანაწერი, რომელთა მოსმენის შედეგად

აღსანიშნავია, რომ მოსამართლე -- -- მხრიდან რაიმე სახის ქმედება, რასაც შეეძლო მისი მიუკერძოებლობა ეჭქვეშ დაეყენებინა, გამოყენებული არ ყოფილა, შესაბამისად არ იკვეთება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №44/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი